№ 151. 17 ივლისი, ხუთშაბათი. 1866—1880 17 ივლისი, ხუთშაბათი. № 151.


**რედაქცია**

ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ [illegible] სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ „Иверіи“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.


**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.



1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ
**დროება**
ღირს ხუთი მანეთი
**ივერია**
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი


## ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილება

ტფილისი, 14 ივლისს.

ბევრი და გაცხარებული ლაპარაკია ამ ჟამად ჩვენს ქალაქში იმ განხეთქილების თაობაზედ, რომელიც ბ. თფილისის ღუბერნატორსა და ქალაქის თვით-მმართველობის შუა ჩამოვარდა.

დიდი ხანია არსებობდა ამ ორ უფლებას შუა წვრიმალი უკმაყოფილება და განხეთქილება; დიდი ხანია ერთმანეთს ესაყვედურებოდნენ და უმაღლესს მთავრობას შესჩიოდნენ ერთმანეთზე; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ეს განხეთქილება უფრო ცხადათ გამოაშკარავდა და უფრო ცხარე შეიქნა.

მკითხველმა იცის ამის მიზეზი: ვიღაც ოდესის ვაჭრებმა ქალაქში გამოგზავნეს გასასყიდლად ხორბალი და ქერი; ამ ვაჭრებმა მოიტანეს ეს ხორბალი და ქერი თფილისის რკინის გზის ვაგზალზე და აქვე დაიწყეს გასყიდვა.

ქალაქის ზამგეობამ გამოუცხადა ამათ, რომ ვაგზალზე პურის გაყიდვა არ შეიძლებაო, ქალაქში უნდა შემოიტანოთ, მეიდანზე უნდა დააწყოთო და აქ შეგიძლიანთ გაყიდვაო.

თფ. ღუბერნატორმა კი მოახდინა განკარგულება, რომ ხსენებულ რუსის ვაჭრებს ნება-რთვა მიეცესთ რკინის გზის ვაგზალზე პურის და ქერის გასყიდვისა და ქალაქის სავაჭრო ზედამხედველი, რომელიც უშლის ამ ვაჭრობას, გარდააყენეთო.

ეს არის საქმის გარემოება და მიზეზი განხეთქილებისა.

ბ. ღუბერნატორი ამბობს: რუსის ვაჭრებს, რომ ჩვენში პური მოაქვთ, ამით ჩვენში პური იაფდებაო და ამიტომ ყველგან უნდა მიეცესთ ამათ ვაჭრობის უფლებაო.

ქალაქის ზამგეობის პასუხი არის: ძალიან ვმადლობთ, რომ მოაქვთ პური, მაგრამ ვაგზალზე პურს პარტიომით მხოლოთ ჩარჩები ჰყიდულობენო, ამათ ეს პური მეიდანზე გამოაქვსთ და წვრილ-წვრილად იმ ფასადვე ჰყიდიან, როგორც ადრე იყოვო. შემოიტანონ იმ რუსის ვაჭრებმა ქალაქში, აქ გაჰყიდონ და მაშინ დაიკლებს ფასიო. ამ საქმის გარიგება ჩვენი საქმეა, ჩვენი უფლებაა, ადმინისტრაციას აქ ხელი არა აქვსო.

ვინ არის ამ ორში დამნაშავე და ვინ არის მტყუანი?

მივმართოთ კანონს. პირველი მუხლი საქალაქო დებულობისა ამბობს:

„მზრუნველობა და გამგეობა ქალაქის შინაურულ სადჯასო (ХОЗЯЙСТВО) საქმეებისა და კეთილ-განწყობილებისა მინდობილი აქვს ქალაქის საზოგადო თვით-მმართველობას, ÷ ზედამხედველობა, რომ ეს კანონიერად იქმნეს შესრულებული, მინდობილი აქვს ღუბერნატორს ანუ ქალაქის უფროსს.“

მე—151 მუხლში ამავე საქალაქო დებულობისა სწერია:

„სასაზინო, საერო და სხვა დაწესებულებათა საჩივარი ქალაქის თვით-მამრთველობის იმ მოქმედებაზედ წარდგენილი უნდა იყოს ღუბერნატორთან ანუ ქალაქის უფროსთან, რომელთაც ეს საჩივარი უნდა გარდასცენ გუბერნიის საქალაქო საქმეების პრისუტსტვიას. ამგვარადვე უნდა მოიქცეს აგრეთვე ღუბერნატორიც ანუ ქალაქის უფროსიც. როდესაც ისინი შენიშნავენ ქალაქის თვით-მართველობის რომელსამე უკანონო მოქმედებას ანუ განკარგულებასა.“

ამ ნაირად, თუ საქალაქო დებულებას ამ ცხად და პირ-და-პირ კანონებს მივიღებთ მხედველობაში, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ბ. ღუბერნატორი გარდასცდა კანონისაგან განსაზღვრულ თავის უფლებას, ზემოხსენებულს მუხლებში პირ-და-პირ არის და აშკარად არის მოხსენებული, რომ „ქალაქის საჯარო შინაურულ საქმეებზე მზრუნველობ და გამგეობა ქალაქის თვით-მმართველობის მოვალეობა არისო“. ამავე კანონის ძალით, როცა ღუბერნატორს რაიმე განკარგულება და მოქმედება არ მოსწონს ქალაქის თვით-მმართველობისა, ამ შემთხვევაში იმას არა აქვს უფლება, რომ თვითონ, თავის ძალითა ÷ თვით უფლებით გადასწყვიტოს ეს საქმე, დაარღვიონ ქალაქის თვით-მმართველობის განკარგულება არამედ უნდა შეიტანოს საჩივარი გუბერნიის საქალაქო საქმეების პრისუტსტვიაში და ის განიხილავს მტყუანსა და მართალს.

რამდენათაც ჩვენ ვიცით თფილისის ახლანდელი ღუბერნატორის მოქმედების ხასიათი, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ის მხოლოთ იმ კეთილ განზრახვით მოქმედებდა, რომ პური გააიაფებინა ქალაქში, რომ ღარიბებს დახმარებოდა. მაგრამ არც ის უთქმელობა შეიძლება, რომ ამ კეთილ-შობილურ მიზნის მისაღწევნელად ცოტა არ იყოს კანონს გადასცდა.

მაგრამ ამ სამწუხარო გარემოებას ჩვენ უფრო ბ. თფილისის პოლიციიმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს ვაბრალებთ. ყველამ იცის, რომ ამ უკანასკნელ სამი-ოთხი თვის განმავალობაში ბ. თფილისის ღუბერნატორმა მთელი თავის დრო და ენერგიული მეცადინეობა თითქმის მარტოკალიის გაწყვეტას მოანდომა და სამი დღე ერთად ზედი-ზედ არ უცხოვრია იმას თფილისში. ბ. თფილისის პოლიციიმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი კი, რომელმანც ბევრი სხვა მხრითაც დაიმსახურა ამ უკანასკნელ დროს საზოგადოების ყურადღება, მუდამ ქალაქში იყო, იმას უნდა სცოდნოდა —რა უფლებით მოქმედებდა, რატომ მეცადინეობდა, რომ

---

## ფელეტონი

—

### სამი კვირა კახეთში

(გაკვრითი შენიშვნები მოგზაურისა)

### III

### ქიზიყი.

ერთის შეხედვით ქიზიყელი კაცი რაჭველსა ჰგავს; იმასავით მძიმე, დინჯია ტაბაკ-ტ ბაკად მოლაპარაკე; იმასავით შრომის-მოყვარე და თავის ოჯახის ერთგული, მოუსვენარი, მზრუნველი; იმასავით ჭკუით მძიმე, ცოტა ხეპრე, მაგრამ ხასიათით კი მშვიდობიანი და მოუსყიდველი პატიოსანი.

მე დამარწმუნეს, რომ ამ ათი თხუთმეტი წლის წინათ აქაურმა კაცმა ქურდობა და ავაზაკობა რა იყო, არ იცოდაო. ადრე ლეკები თუ ჩამოდიოდნენ მთებიდამ, იტაცებდნენ ბარში ამათ საქონელსა და საზოგადოთ ავაზაკობდნენ, თორემ ქიზიყელ კაცს რო რამე მოეპაროს, ან შესამჩნევი ცუდ-კაცობა ჩაედინოს—არავის გაუგონიაო.

საუბედუროთ ეს კეთილი ზნე, როგორც ეტყობა, თან-და-თან იკარგება და ამ უკანასკნელ დროს ისე დღე არ გაივლისო, რომ ვისმეს ან საქონელი არ დაეკარგოს, ან სხვა რომელიმე ცუდ-კაცობა არ მოხდესო. ჩემს იქ ყოფნაში (ქიზიყის სოფლებში სულ ორი დღე დავყავი) სამი გლეხი მოვიდა უეზდის უფროსის თანა-შემწესთან თ. ლ. ჯანდიერთან საჩივლელად: ერთი სჩიოდა, ძროხა მომპარესო; მეორე ხბო დამიკლესო და ტყავი ჩემ მეზობლის სახლში ვნახეო; მესამე ყველაზე უარესს და უსაძაგლესს ბოროტებაზედ სჩიოდა: ვიღაც შემომეპარა წუხელ ვენახში და მთელი ვაზი ძირში ამიჭრა, დამიწვინაო! თავის ბიძაშვილებზედ ჰქონდა ეჭვი: მტერობა გვაქვს ერთმანეთში, სწორეთ ის იზამდაო!...

შესანიშნავია, რომ აქაც და სხვაგანაც ჩვენს ქვეყანაში ამ უკანასკნელ ხანებში ქურდობისა და საზოგადოთ ცუდ-კაცობის გავრცელებას სხვათა-შორის ახალ სასამართლოს, რეფორმასაც აბრალებენ.

— ქუჩაზე რომ მიუთითო მოსამართლეს, პირველად იმას მკითხავს— მოწმე გყავს, ან საბუთი რამე გაქვს, თუ არაო! მოწმე თუ მყოლოდა, ხო არ გავატანდი ნაქურდალს! მოვიპარე შენგანაო—ამის ხელ-წერილს ხომ არ მომცემდა ქურდი!...

ზამიგონია აგრეთვე სამდურავი იმაზედ, რომ გამოძიების დროს ერთობ ადვილად უშვებენ სატუსაღოდამ თავდებობით, ქურდებსაო, ხალხს ეშინიან იმათიო და ამიტომ წინაალმდეგ ვერაფერს ამბობენ, კიდეც რომ იცოდნენო.

იქნება ამ გვარ მჯელობას თავის წილი სიმართლისა ჰქონდეს; მაგრამ უმთავრესი მიზეზი ჩვენს ქვეყანაში ქურდობისა და ავაზაკობის გავრცელებასა, უეჭველია, სხვა გარემოებებში არის საძებნელი.

—

ქიზიყში ორი შესანიშნავი მონასტერი ვნახე: ხირსისა (სოფ. ტიბაანში) და წმ. ნინოსი (სიღნაღიდამ სამ ვერსზე).

ხირსა ერთ დროს, ეტყობა, მართლა შესანიშნავი, დიდებული მონასტერი ყოფილა; მაგრამ ახლა აქ არაფერი აღარ დარჩენილა ყურადღების ღირსი. ახლა ეს არის გალავან შემოვლებული, დიდი, მაგრად-ნაშენი ქვითკირის ეკკლესია, რომლის არც გარეთ და არც შიგნით კედლებზე არავითარი ზედ-წარწერები არ მოიპოვება. კედლები სულ შელესილია. ამბობენ, მონასტერში სხვა-და-სხვა ძვირფასი სამკაული ყოფილა, რომელიაც განსვენებულ ეგზარხოსს ევსევის წაუღია; ძველი ხელთ-ნაწერი წიგნებიც თფი-

ხსენებულ ოდესის ვაჭრებისათვის ქალაქის გამგეობას კანონი დაერღვია და თავის მოვალეობისა და უფლებისაგან ხელი აელო.

ღარიბებთა ინტერესის დაცვა აქ არაფერ შუაშია. ვინ იტყვის, რომ ამ საქმეს თფ. პოლიციიმეისტერი უფრო გულ-მტკივნეულად თანაუგრძნობდეს, ვინემ ქალაქის თვით-მმართველობა...

სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა ამ საქმეს თავის ნამდვილ მნიშვნელობას მისცემს და სამართლიანად გაარჩევს...

ამასთანავე იმედი ვიქონიოთ, ქალაქის გამგეობაც თავის მხრით ეცდება, რომ ამ შემთხვევის მიზეზი—ე. ი. პურის სიძვირე რითაც შეუძლიან და რამდენათაც შეუძლიან საჩქაროთ მოსპოს. მართლა, უხვ მოსავლის იმედით თითქმის ყველგან ერთი-ორად გაიაფდა ჩვენს ქვეყანაში პური და ქალაქში გაიაფებას კი არა ეშველარა....

## ახალი ამბები

ამ თვის 15-დამ ვიდრე აგვისტოს 1-მდინ ქალაქში შემდეგი ტაქცია არის დანიშნული ხორაგეულზედ:

პირველი ხარისხის გამომცხვარი პური 1 გირვ.—5 კაპ. მეორე ხარისხის—4 კაპ., თორნის პური—6 კაპ., და $4^1/_2$, ჯვარის-მამის ფქვილის—7 კ., ლავაში—8 კაპ. და $5^1/_2$ კაპ.

ძროხის ხორცი პირველი ხარისხის, 1 გირვ.—8., მეორესი—7 კაპ., სუკი—14 კაპ.

ცხვრის ხორცი, 1 გირვ.—10 კაპ.

ეს ტაქცია არ ეხება იმათ, რომელთაც სოფლიდამ მოაქვთ პური და ხორცი და თფილისის ბაზრებში და იარმუკაში ჰყიდიან.

* * *

რუსულ გაზ. „მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან, რომ სოხუმის მაზრაში მდინარე ფსირტსკის ნაპირზე ძველი მონასტრის მახლობლად ათონის რუსის მონასტრის ბერებს გაუმართავსთ ახალი მონასტერი, სახელად „ახალ-ათონის სიმონ—კანანიტის მონასტერი.“ ამ მონასტრისათვის 1300 დესიატინა მიწა მიუციათ იმ პირობით, რომ აქ მყოფ რუსის ბერებმა გამართონ შკოლა და ადგილობრივ ხალხში სწავლა-განათლება და სასოფლო მეურნეობის ცოდნა გაავრცელონ. ჯერ-ჯერობით სიმონ კანანიტის მონასტერში სულ 50 ბერი სცხოვრებს, მაგრამ შემდეგში თუ საჭიროება მოითხოვს, მეტსაც შეუძლიანთ დადგომა.

* * *

სომხურ გაზეთს "მეღუში" განჯიდამ იწერებიან, რომ აქეთკენ წრეულს დიდი მოსავალი მოვიდაო ასე, რომ განჯა სრულიად აივსო პურითო.

ერთის სიტყვით, ყოველის მხრით ძალიან კარგი და სანუგეშო ამბები ისმის წლევანდელს მოსავალზე და ამიტომაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველ გვარი ხორაგეული წელს ერთი ორადდა მეტათაც გაიაფდება...

* * *

ჩვენ შევიტყვეთ. რომ ბ. ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავს სალიტერატურო წლიურ კრებულის გამოცემა, რომელსაც ერქმევა სახელად „თანამედროვე მწერლობა. სხვათა შორის ამ კრებულში დაბეჭდილი ძალიან სასარგებლო ცნობანი ქართულ წიგნების გამოცემაზედ, თუ რამდენი წიგნები გამოდის, როგორ გამოდის და როგორ ვრცელდება.

* * *

ამ მოკლე ხანში თფილისში გაიხსნა ერთი ახალი სასტუმრო, სახელად „საქართველო“.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

„„ბ. რედაქტორო! დღევანდელ №-ში თქვენს პატივცემულ გაზეთში იყო დაბეჭდილი ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილება 14-ს ამ თვეს, რომ იჩივლონ გუბერნიის ადმინისტრაციაზედ და დეპუტატებიც ამოურჩევიათ, რომლებიც უნდა წავიდნენ დიდ მთავართან კავკასიის ნამესტნიკთან; რჩევა აპირობს ვექილი დაიქირაოს პეტერბურღში და სურსთ დაამტკიცოს, რომ გუბერნიის ადმინისტრაციას არა აქვს უფლება ამ გვარ საქმეში გაერიოს.

გუბერნიის ადმინისტრაცია ყოველთვის გაერევა იმ გვარ საქმეში, თუ ქალაქის გამგეობა თითებ შუა გაიცქირება და სიძვირეს რიგიან ყურადღებას არ მიაქცევს.

აბა თუნდ პურის ვაჭრობას დავხედოთ. თუ აქაურს დიდ-მუცელაებს მოაქვსთ პური და სადაც სურთ, იქ ინახვენ და ჰყიდიან, მაშ რა დააშავეს ოდესელებმა და ქერჩელებმა? პირველები ჰყიდიან დაფარულათ ქარვასლებში და ბევრს სხვა ქალაქის ნაწილებში და მეორეები აშკარათ თფილისის ვაგზალზედ.

თუ პირველებს ქალაქის გამგეობა აძლევს ნებას ჰყიდონ, სადაც ჰსურთ, რაღათ უშლიან მეორეებს გაჰყიდონ პური ვაგზალთან და ან საჩივარი რჩევაში რომ შემოაქვთ, რატომ არ აუხსნეს რჩევას, რომ ქალაქში პური ისყიდება ყველა ქარვასლებში, კუკიაში ნიკოლაევის ქუჩაზედ ალელოვის სახლებში, ჩუღურეთში—გაბაევის სახლებში და სხვა ქალაქის ნაწილებშიაც. ეს ვაჭრობა რომ რჩევას სცოდნოდა, მე დარწმუნებული ვარ, რჩევა საჩივარს არ გამოაცხადებდა გუბერნატორის განკარგულებაზედ, პირიქით მადლობასაც შესწირამდა.

და ან ცუდი რათ არის, რომ ქალაქში პური ისყიდებოდეს ბევრს ალაგას? ჩვენ მაინც ცოტა გვაქვს პურის გასასყიდი მოედნები, სულ ალი-ბალი ორი ალაგი გვაქვს, ერთი თათრის მოედანი და მეორე სალდათის ბაზარი, რომლებზედაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევს ისეთი ვიწროობაა; თუ რაც ქალაქში პური მოაქვსთ ვაჭრებს, სულ იქ დაალაგეს, ვერ დაეტევა და ვაჭრობაც ძალა-უნებურათ უნდა გაჩერდეს უადგილობის გამო.“

ა. კაპანაძე.

ამ წერილს პასუხი ზემო-მოყვანილი მოწინავე სტატია არის. საქმე იმაში კი არ არის: კარგი განკარგულება იყო ადმინისტრაციისა, თუ არა; საქმე იმაშია: კანონზედ დაფუძნებული იყო განკარგულება, თუ არა?

## „დროების“ კორრესპონდენცია

დუშეთი, 10 ივლისს. ვითარცა სასიამოვნო ამბავი დუშეთის თავად-აზნაურთათვის და დროებით-ვალდებულ გლეხთათვის უნდა ვსთქვათ, რომ აქაური მიროვოი პოსრედნიკი თ. ზ. გ. ერისთავი გამოიცვალა. სასიამოვნოა ამისათვის, რომ საზოგადოებამ იცოდა, რომ იყო მიროვოი პოსრედნიკი, მაგრამ სად იყო და ან რისთრის—ეს კი არ იცოდა,—არც აზნაურს, არც გლეხსა ახლო არ მიიკარებდა, საჩივარს არ მოისმენდა, და იყო ისე მოშორებული, როგორც სულთანი ანუ სპარსეთის შახი თავის ქვეშევრდომთაგან. ყოველი ბრძანება ანუ უარი უნდა მიიღოთ იმის მწერლისაგან...

ამის მაგიერ დაინიშნა თ. კიაზო ჩოლაყაშვილი, რომელმაც დაიჭირა სახლი ქ. დუშეთს და რომელზედაც ჯერ ვერც კარგს და ვერც ავს ვერ ვიტყვით.

ამ სასიამოვნო ამბავს მოჰყვა მეორე სასარგებლო საქმეცა. ხუთს ამ თვეს იყო კრება ქ. დუშეთს აქაურ მაზრის თავად-აზნაურების შესახებ სკოლების შესაწირავის გაწერაზედ. მოწვეულნი იყვნენ მთელი საზოგადოება, მაგრამ შეიყარნენ დიახ მცირედი ნაწილი და ისიც მხოლოდ ღარიბთაგანი.—ეს ყოველთვის შენიშნულია, რომ შემძლებლები ამ გვარ კრებას თავს არიდებენ. საიდამ წარ-

---

ლისის სასულიერო სემინარიის მოთხოვნით კანტორამ წაადებინაო.

წმ. ნინოს მონასტერი ერთი-ორად უფრო შესანიშნავია და საყურადღებო, ვინემ ხირსისა, რადგან აქ იგულებენ საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინოს გვამს, რომლის კუბოც საკურთხევლის გვერდით ასვენია მონასტერში. მონასტერი ახლად, ამ საუკუნეში გარდაკეთებულია; გარედამ ფასადი ჭრელი აგურით არის გაკეთებული და ერთის შეხედვით ახირებულ სურათს წარმოადგენს მონასტრის შენობა. შიგნი ყველა კედლები აგრეთვე ახალ ნახატ სურათებით არის დახატული; სხვათა შორის საკურთხევლის პირ-და-პირ ორ დიდ ოთხ-კუთხ სვეტზე მარჯვნივ გამოჩენილი ბოდბელი არის დახატული და მარჯვნივ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I. ხმლით, ორდენებით, სამხედრო ტანისამოსით, ღენერლის მუნდირით...—კედლებზე მთელი ძველი და ახალი აღთქმა არის გამოხატული და, უნდა ვსთქვათ, გარდა ბოდბელის და წმ. ნინოს მშვენიერის სურათებისა, არც ერთი ეს სურათები ლაპარაკად არა ღირან, „ლუბოჩნიეო“, რუსები რო ამბობენ, სწორეთ იმ გვარი სურათებია...

ხირსაზე უფრო მომატებული ავეჯულობა და ძველი ხელთ-ნაწერი ქართული წიგნები, როგორც აქაურ ერთმა ბერმა დამარწმუნა, ამ წმ. ნინოს მონასტერს ჰქონია. მაგრამ, საუბედუროთ, აქედამაც ყველაფერი განსვენებულ ეგზარხოსსა და სემინარიის გამგეობას გაულაგებიათ.

— დროებით წაიღესო, სთქვა ბერმა, ბევრი ვითხოვეთ უკან დაებრუნებიათ მონასტრისთვისაო, მაგრამ ხმაც აღარ გაგვცესო.

—

ორიოდე სიტყვა სიღნაღის მაზრის ადმინისტრაციაზედაც.

უეზდის გამგებლის თანამდებობას ამ ჟამად თ. ლევან ჯანდიერი ასრულებს. ადმინისტრაციის სამსახურში ეს ახალი კაცია, სულ რამდენიმე თვეა, რაც დანიშნულია და პირველი თვეები კალიის წყვეტაში გაატარა. მაგრამ ხალხი ახლავე დიდ კმაყოფილებას აცხადებს ამ კაცის დანიშვნაზედ. მე ვნახე ის თვითონ საქმეში: რამდენსამე სოფელს წყლის თაობაზედ დიდი დავა და უკმაყოფილება ჰქონდათ ატეხილი და ამ საქმეს არჩევდა. პირუთნელად ვამბობ, რომ ჩვენს ხალხს სწორეთ ამისთანა ადმინისტრატორი ეჭირება. ამან იცის არა თუ მარტო ხალხის ენით ლაპარაკი ხალხთან, არა თუ მარტო ხასიათს სცნობს ამ ხალხისას, არა თუ მარტო სამართლიანი და მიუდგომელია, არამედ თითქო მასწავლებლობს კიდეცა: ყოველ კანონს უხსნის ხალხს, უხსნის იმის უფლებასა და მოვალეობას, წესდებას, ყოველ განკარგულებას და სხვ. და უხსნის, უმატებს იმ ნაირის კილოთი, ისეთის ენით, რომელიც ყველას ესმის, ყველა გლეხისათვის გასაგებარია. ყველა იმას დაუმატეთ ახალგაზდა კაცის ენერგია და, ფორმალურად თავის მოვალეობის სურვილი კი არა, არამედ სურვილი ნამდვილ სარგებლობის მოტანისა ხალხისთვის—და თქვენ დამეთანხმებით, რომ ეს კაცი უნდა იყოს სამაგალითო ადმინისტრატორი. ერთი ნაკლულევანება შევნიშნე მე იმას საქმეში: ცოტა სიფიცხე; მაგრამ უნაკლულო კაცი, მოგეხსენებათ, დედა-მიწაზედ არ მოიპოება...

დანარჩენ ადმინისტრაციის წევრებზე მე არაფერის თქმა არ შემიძლიან, რადგან იმ ერთის კვირის განმავლობაში, რომელიც მე სიღნაღის მაზრაში გავატარე, ბევრის ვერაფრის გაცნობა და ნამდვილად შეტყობა არ შემეძლო.

ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის თ. ს. წერეთლის დიდ

ეროვნული

მოებს, რაში მდგომარეობს მიზეზი ამისთანა გულ-გრილობისა ჩვენ არ ვიტყვით, რომ „რომ ის ბატები“ არ ავაყაყანოთ, მხოლოდ ვიტყვით, რომ სამწუხაროა ხალხისათვის ამისთან სნეულობა. ამის წამალი კი განათლებაში, კეთილსინიდისიან აღზრდაში უნდა ვეძიოთ, და ამისათვის საჭიროა სკოლები და სკოლები; სწავლა, მხოლოდ სწავლა მოგვცემს და გვიჩვენებს ნამდვილს ცხოვრების გზასა, ყველამ უნდა გამოიღოს შესაწირავი, ამ საგნისათვის, შეძლებისგვარად, დიდმა და პატარამ.

საკვირველია, რომ ჩვენი დიდი ბატონები პირველად უკან დგებიან და როდესაც დაიწყება საქმე რამ კეთილი და სასარგებლო, მაშინ კი პირველობენ, სარგებლობენ მომატებულად და იჭერენ პირველს ალაგებს. ამის დამტკიცება საჭირო არ არის. მოვიგონოთ რა სთქვეს და რა იმოქმედეს ჩვენმა ბობოლაებმა, როდესაც პატივცემულმა დიმიტრი ყიფიანმა მისცა აზრი ბანკის დაარსებაზედ და შეწირვაზედ ფულებისა? ბანზე გადგნენ, წინააღმდეგი ყაყანი შეჰქნეს და შეწირვაზედ უარი ჰსთქვეს; ხოლო საწყლებმა დიმიტრი ყიფიანს ტაში დაჰკრეს, თანხმა გაუხდენ იმის აზრს და იმათ გროშებით შესდგა ბანკის თანხა, დამტკიცდა უსტავი და გაიხსნა ბანკი. მაშინ გამოჰყვეს ბატონებმა თავი და დაიწყეს ამ ბანკიდამ სარგებლობა; ჩვენც შემოვიტანთ ბანკში ფულს ნაწილ-ნაწილათო. ბევრი შეიტანეს რამ დიდმა ბატონებმა, თუ არა, არ ვიცით და გატანილი კი ვიცით მრავალი...

ხუთს ამ თვის თავად-აზნაურთ კრებაში მარშალმა თ. დავით ერისთავმა გამოუცხადა მიზეზი კრებისა; საკმო ვრცლად და ცხადათ წარმოუდგინა მდგომარეობა კეთილშობილების შვილებისა, რომელნიც მოკლებულნი არიან სწავლას, სიღარიბის გამო; დაუმტკიცა მოვალეობა საზოგადოებას, რომ გახსნას თავის ხარჯით სკოლები; რომ იქ სწავლობდნენ მათი შვილები; რომ სკოლების დაარსებისათვის ყველამ, შეძლებისგვარად, უნდა გაიღოს წელიწადში და სამუდამოთ რამდენიმე მანეთი, რომლითაც შესდგება კაპიტალიო.

საზოგადოებამ მოისმინა დიდის ყურადღებით მარშლის სიტყვები.

კრებაში აღმოჩნდა ორატორი, რომელმაც მჭევრმეტყველურად იწყო ლაპარაკი ამაზედ, რომ დაარსება იმისთანა სკოლებისა, რომელიც არის თბილისის საზოგადოებისაგან დაწესებული დიდი სასარგებლო არ არისო, იქ იმისთანა სწავლას არას მიიღებენო და ბევრიც არ გაიზრდებაო, ერთი ანუ ორი ჩვენის მაზრის ყმაწვილის გაზდა რას გვიზამსო, საჭიროა და შესაძლებელი ჩვენს მაზრაში ჩვენი სკოლა გავმართოთ ისეთი, რომ ყველას შვილები იყვნენ მიღებულნი, რომ ნამდვილი სწავლა იყოს და მოამზადონ ისე, რომ მაღალ სასწავლებელში მიიღონო. იმ გვარი სასწავლებლის გახსნა მოითხოვს სულ რვაას თუმანსაო და ამ ფულის მიცემა ყოველს წლივ ჩვენის მაზრის თავად-აზნაურთ ყოველთვის შეუძლიანთო.

ამ საგანზედ ორატორმა დიდ ხანს ილაპარაკა, დიდ ხანს ამტვრია სიტყვები, მაგრამ ყური არავინ უგდო, რადგანაც სიტყვებით სახლი არავის არ აუშენებია. თქმა სიტყვის ძრიელ ადვილია და ნათქვამიც არის: „ენას მჭავლი არ დაადგებაო“, მაგრამ საქმის აღსრულება კი ძრიელ ძნელია, ვინ მისცემს და ან ვის შეუძლია მისცეს იმოდენა, რომ წელიწადში 8,000 ანუ 9,000 მან. შესდგეს? ამას გარდა გიმნაზიისათვის 9,000 მან. კმარა განა?

ამ მაზრაში ითვლებიან დიდი მუხრანიანი, ერისთვიანი, ამილახვრიანი, მაგრამ ესენი თავს არ იდებენ ამგვარ შეწირვას, და დანაშთენთ, უკაცრავად ვიქნებით, რომ ვსთქვათ, ნატისუსალით აზდით.

ჩვენს ორატორის აზრს უარი ჰყვეს და გამოუცხადეს ყოვლად შეუძლებლობა აღსრულებაზედ იმა აზრისა; მაგრამ ორატორი მაინც თავისას არაკუნებდა და ჰყვიოდა მამლისა არ იყოს, მე კი და ვიჩიელებო და გათენდება თუ არა, მე რა ვიციო!

შემდეგ დიდის დროს ბაასისა კრება დასდგა ამ აზრზედ, რომ ჩვენ სხვა მაზრების თავად-აზნაურების უკუ არ დავსდგებითო; მზათ ვართ გავიწეროთ ისე, როგორც იქ გაიწერესო და იმ წესით გადავსწყვიტოთ ეს სასარგებლო საქმეო.

ამაზედ უნდა შემდგარიყო განაჩენი, მაგრამ როგორ შეადგენდნენ, როდესაც შეიკრიბა მცირედი ნაწილი თავად-აზნაურთა; ამისათვის თ. დავით ერისთავმა დანიშნა მეორედ კრება სეკტემბერში. შეგროვდება მაშინ კანონიერი რიცხვი, თუ არა, ვინ იცის, თუმცა ამ საქმეს დაბოლავება უნდა დროზედ. ვნახოთ რა მოხდება სეკტემბერში და რაც მოხდება, მაშინ მოგახსენებთ.

მხოლოდ ურჩევთ ყველას იქმონენ იმისთანა საქმეს, რომ სამაგალითოდ დაიდოს მათი გულ-გრილობა და უერთობა...

ა. ბ.

# ნარკვევი

*** რუსულს გაზეთს **გოლოსში** დაბეჭდილია მოწინავე წერილი ცხენის ქურდობისა და მისს მოსპობის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრისაგან გამოცემულს ცირკულიარის შესახებ. გაზეთი ამბობს:

„რასაკვირველია არ შეიძლება, რომ არ ვუთანაუგრძნოთ ამ „სოფლად მცხოვრებლების საშინელ სენის“, შეძლებისა-და-გვარად, მალე აღმოფხვრას, მაგრამ ამასთანავე უნდა განვსაჯოთ, თუ სოფლელთა ყოფაცხოვრების და სასოფლო და სამაზრო პოლიციის ეხლანდელს მდგომარეობაში რამდენად შესაძლებელია ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა?“

შემდეგ გვითითებს ზოგიერთს სოფელში ცხენის ქურდების იმდენად გაძლიერებაზე, რომ ისინი, თურმე, საქონლის პატრონებს უწყებულს „გარდასახადს“ ახდევინებს და ამ ნაირად „ზღვევენ“ მათს ზიანს თუ ვინიცობაა იმათ საქონელი დაეკარგათ. ამისთანა სოფლებშიო, ამბობს **გოლოსი**, ცხენის ქურდობა თითქმის სულ არ არისო, და თუ როდისმე მოხდა, მაშინვე კვალს ჰპოულობენ და პატრონს მონაპარავს ჩააბარებენო. ამისთანა განწყობილება ცხენის ქურდთა და სოფლების შორის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ამ რიგი აშკარა ბოროტ-მოქმედება, გაზეთის აზრით, მიეწერება ხელისუფლების (**власть**) უძლურებასა და მცხოვრებთა უხვაიშნობას.

ამიტომაც, საკვირველი არაა, თუ გლეხ-კაცობა ცხენი ქურდებს ყოვლად შემძლედ ჰრაცხვენ და ვერ ჰბედვენ მათს გაცემას, მით უფრო რომ მათგან გაცემული ქურდი ხშირად თავს იხწევს და შემდეგ მათ ერთი ათად აზარალებს. ამისთანა მდგომარეობის მოსასპობლად **გოლოსის** აზრით საჭიროა, გლეხ-კაცი საქმით დარწმუნდეს, რომ

„მათი მჩაგვრელი ქუდების ძალა შედარებით უმნიშვნელოა კანონის ძალასთან, რომელიც იცავს მათს მყუდროებას და კეთილ-დღეობას,“

და რომ ამ რიგ ბოროტ-მოქმედები „დევნილი იქნება და ბოროტ მოქმედი ღირსეულად დასჯილი და სამაგიეროს გადასახადისათვის საშვალებას მოკლებული.“

*** რუსულის ქურნალის **დელოს** უკანასკნელ №-ში ბ. შელგუნოვი ჰკიცხავს წასრულს კლასსიკურ სახელმწიფოთა ცხოვრებას და თავის წერილის დასასკვნელად შემდეგს ამბობს, რომლის საფუძველსაც კონსტან

---

კმაყოფილება და ქება ისმის განსაკუთრებით გლეხ-ხალხთაგან, და ამგვარი ქება ყველა ქებაზედ უძვირფასესია...

—

მთელი ქიზიყი ემადლიერება წლევანდელ მოსავალს. 1873 წელს აქეთ, როდესაც აქეთკენ შიმშილობა იყო, მუდამ რიგიანი მოსავალი იყოვო, ამბობენ, მაგრამ წლევანდელისთანა უხვ მოსავალს ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში არ მოვსწრებივართო. მართალია, გაყლილ მაისში სიღნაღის ახლო-მახლო სოფლებში, უფრო კარდანახისაკენ, სეტყვა ყოფილა, მაგრამ თითქმის სრულიად ვერა გაუფუჭებია-რა.

პურ-ღვინის გარდა ქიზიყი განთქმულია განსაკუთრებით ხილითა და ხის ნაყოფით: აქაური ღეღვი, ბრეწაული და კაკალი სამაგალითო არის და ბევრიც გააქვთო. კაკალი მართლა განსაკვირველად ყოფილა ქიზიყში გავრცელებული: ვლეხის ეზოს ვერ ნახავთ, რომ ხუთი, ათი, ოცი და ზოგს მეტი ძირი არ ედგას.

— გზა რომ იყოსო, გვითხრა ერთმა ქიზიყელმა, ჩვენი მხარე მარტო ხილით და კაკლით გაკეთდებოდაო.

—

26 ივნისს გამოვეთხოვე ქიზიყსა და იმის სატახტო ციხე-ქალაქს სიღნაღსა და საკუთრივ კახეთისაკენ გამოვსწიე.

მადლობა ღმერს, სიღნაღიდამ თელავამდინ გზა დაუბრკოლებლივ და უდავი-დარაბოთ გამოვიარე. თუმცა ამ სტანციებზე სამ-სამის ტროიკის მეტი არ არის, მაგრამ, როგორც ამბობენ, სიღნაღიდამ თელავამდინ მოგზაურს ძნელად თუ შეხვდება დაბრკოლება. ეტყობა, არც ცხენებს უშვებენ აქ წმინდა ანტონის საჭმლის ანაბარა...

სასიამოვნო სანახავია გზაზე მდებარე სოფლები, რომელთაგან ზოგიერთები კახეთის საუკეთესო სოფლებს შეადგენენ, როგორც მაგალითად წინანდალი, მუკუზანი, ბაკურ-ციხე და სხვა. სულ ერთი მეორეზედ მიყოლებით მიბმული სოფლები თვალგადუწვდენელ ვენახებითა.

სოფლის ხალხი აქ უფრო ღარიბად უნდა ცხოვრობდეს, ვიდრე ქიზიყისა; გარეგანის შეხედულობიდამ, გლეხების პატარა, მიხრამულ-მოხრამულ სახლები, და იმათ ვიწრო ეზოების დათვალიერებიდამ გამოიტანს კაცი ამგვარს შთაბეჭდილებას.

— ღარიბები ვიქნებით, მა რავიქნებითო, მითხრა ერთმა აქაურ გლეხმა, ყველა სოფლებში სომხები ჩამოგვესახლნენო და ჩვენი ავლა-დიდება იმათ მიაქვთო!

მაგიერად აქაურ თავადების სახლები, როგორც საშვალ საუკუნოების ფეოდალების ციხე-სახლები, აქა-იქ მრისხანეთ და მედიდურის სახით წამოჭიმულან და ჩინებულ ალაზნის ხეობას გადაჰყურებენ.

— ნეტავი ამათ პატრონებს, სამოთხის ქვეყანაში სცხოვრებენ, კარგი სახლი, კარგი ღვინო და ყოველი კმაყოფილება ამათ უნდა ჰქონდეთო! ჰფიქრობ, როცა ხედავ ამ თავადების დიდ, ორ-სართულიან მშვენიერ ქვითკირის სახლებსა. მაგრამ, ნეტავი თვითონ ესენი მართლა სამოთხეში გრძნობენ თავის თავს?!.

დილის რვა საათზე სიღნაღიდამ გამოსულმა ნასადილევის 2 საათზე თელავის აღმართს შევუდეგი.

(გაგრძელება)

მარტას წიგნში („ფილოსოფოსნი და პოეტნი მორალისტები რომის იმპერიის დროებში") ჰპოულობს:

„რა ნაირი გონებითი მემკვიდრეობა გვიანდერძა ამ ჩამკვტარმა კლასსიკობამ? დაგვიტოვა თუ არა იმან მეცნიერება?—არა. სამაგალითო პოლიტიკური დაწესებულებანი დაგვიტოვა თუ არა?—არა. თავის ცივილიზაცია ხომ არ დაგვიტოვა?—არა. რაიმე საგანგებო ან ეკონომიური გაუგებრობის გარდასაწყვეტი საშუალება იქნება დაგვიტოვა?—არა და არა. იმისაგან დატოვებული ლიტერატურაც და ხელოვნებაც კი ღირსებით ჩამოუვარდებიან იმ ლიტერატურას და ხელოვნებას, რომელიც აწარმოვა მას შემდეგმა ევროპამ და უახლესმა ცივილიზაციამ"...

ახალს არაფერს ამბობს ბ. შელგუნოვი ამ დასკვნით, მაგრამ მისი თქმა მანამდი არ ჩაითვლება მეტად, სანამ იგი ყველასაგან გაგებული არ იქმნება. და იმ დრომდი კი, გვგონია, ბარე ორი კოკა წყალი ჩაივლის...

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ათინიდამ იწერებიან რომ საბერძნეთი „ყოველ შემთხვევისათვის" თავის ჯარის რიცხვს უმატებსო.

—

საფრანგეთის მმართებლობის მოწინაალმდეგე ჟურნალ-გაზეთები საშინლად ჰკიცხვენ მას საბერძნეთში აფიცრების გაგზავნისათვის.

—

ავსტრიულ გაზეთს „*Press*"-ს შეუტყვია, რომ ავსტრიის სამხედრო განმგეობას ბრძანება გაუცია ჰერცოგოვინა - ჩერნოგორიის სამზღვარზე რაც შეიძლება მალე ააშენონ სიმაგრენი.

—

ერთს ვენგრიის გაზეთში იწერებიან რომ ალბანიის ლიგას ეხლა ძალიან კარგად მიჰყავს თავის საქმეებიო და თუ ვინიცობაა ომი მოუხდა ჩერნოგორიასთან, ყველა მაჰმადის ტომები მას მიემხრობა...

# განცხადებანი

—

**კონსტანტინეპოლში და მონთობანში (საფრანგეთში) ქართულს ენაზედ გამოცემულნი სახელმძღვანელო და სასარგებლო წიგნები** მიღებულ იქმნენ და **ისყიდებიან** შემდგომ ადგილებში, ყოველგან ერთს და იმავე ფასებათ.

**თფილისში** ინახებიან პატერ პავლე ჳალაიჯოვთანა, კათოლიკების მონასტერში და ისყიდებიან ბ. ბ. ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნების მაღაზიებში.

**ქუთაისში**, კათოლიკების სამრევლო სასწავლებელში და ბ. იოსებ მესარკოვის მაღაზიაში.

**გორში**, კათოლიკების მონასტერში.

**ახალციხეს**, ბ. ბ. ფერშალი მელქონ შაჲიოსოვის სახლში და იაკობ ფაფაზოვის მაღაზიაში.

აი ეს წიგნები:

ა) **„წინამძღვარი ზეცისა"** გინა სულიერნი დარიგებანი ყოველი წოდების პირთა სახმარებლათა, შედგენილი თავადის შვილი მღვდელი ალექსანდრე ჰოენლოსაგან. ფასი უკაზმოთ — — — 50—კაპ. ესევე კაზმით. — — 70—კაპ.

ბ) **„გზა ცხოვრებისა"** გინა განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა, სახმარებლათ მღვდელთათვის საქადაგებლათა და ერის-კაცთათვის სულიერ საკითხავ წიგნათა იკიქრის ლოცვის შესასრულებლათა, შედგენილი ნეტარელისა ეპისკოპოზისაგან ალფონსოლიგუორისა. ფასი უკაზმოთ. 1 მან. ესევე კაზმით 1 მ. 30—კაპ.

გ) **„სიბრძნე კაცობრივი"**, რომელიც ასწავლის კაცსა ჭკუის რიგიანათ მოხმარებასა, სრულ კაცად გახდომასა, სათნოებათა და თანვე სიმდიდრეთა შეძენასა და მათის რიგიანათ მოხმარებას ცხოველი მაგალითებითა და ბრძნული დარიგებაებითა გამოჩენილთა ფილოსოფოსთა. ფასი უკაზმოთ 1 მ. ესევე კაზმით 1 მ. 20—კაპ.

დ) **„ბრძენი კაცი"** გინა რომელნიმე სწავლანი სიბრძნესა და კეთილზნეობასა ზედა, მოცემულნი ძველთა ფილოსოფოსთაგანა. ფასი უკაზმოთ 30 კაპ.

ე) **„მოკლე ქართული ღრამმატიკა"** დამატებით ღრამმატიკული და ლოღიკური ანალიზებისა, ახლად შედგენილი ადვილათ მისახვედნ მეტოდაზე, სასოფლო შკოლებისათვის. ფასი უკაზ. 40 კაპ.

ვ) **„მოკლე გეოგრაფია"** ფიზიკური, სამოქალაქო და ისტორიული; თანვე დამატებით ძველი დროების გეოგრაფიისა; სასოფლო და პირველდაწყებითი შკოლების ყრმათათვის. ფასი უკაზმ. 50 კაპ.

ზ) **„უგავილების კონა"** გინა რჩეული ლექსები სახმარებლათ ახალგაზდა ყმაწვილთათვის, რომელშიდაც შეიცმიან დალექსილი ლოცვები და სახალხო საამური ლექსები. ფასი უკაზმ. 40 კაპ.

ჱ) **„წმიდათა ცხოვრება"** გინა ალრჩევით შემოკრებილი ცხოვრებანი რომელთამე სახალხოთ ცნობილთა წმიდათა. ფასი უკაზმ. 1 მან. 20 კაპ.

თ) **„ეზობის ფილოსოფოსის იგავნი"**. ფასი უკაზმ. 40 კაპ.

ი) **პორტრეტი წმ. ნინა** ქალწულისა, განმადიდებელისა საქართველოს ერისა, ფასი, — — 20—კაპ.

ამათ გარდა იმავე ადგილებში ისყიდებიან საქართველოის კათოლიკეთათვის სახმარებელი სულიერი წიგნები:

ა) **„თან-სატარებელი ლოცვის წიგნი"** რომელიც შეიცავს საყოველდღიერო და წმიდა საიდუმლოების მიღებისათვის მოსამზადებლათ საჭირო ლოცვებსა, ფასი უკაზმ. 1 მან. ესევე ხტიანის კაზმით 1 მ. 50—კაპ. —ესევე შაგრენის კაზმით, ოქროთი, მოჭრილი და მოვარაყებული 2 მან. 25 კაპ.

ბ) **„წალკოტი ლოცვათა,"** რომელიც შეიცავს მრავალთა რჩეულთა და მხურვალე ლოცვათა, ფასი უკაზმ. 80 კაპ. ესევე სახტიანის კაზმით 1 მ. 30 კაპ. ესევე შაგრენის კაზმით ოქროთი მოჭედილი და მოვარაყებული 2 მან.

გ) **„საქრისტიანო მოძღვრება"**, დიდი, წოდებული „ვინ დაგბადა", რომელშიც შეიცმიან ადვილად მისახვედნად და მოკლედ განმარტებანი სარწმუნოების ნაწილთა, კეთილ-ზნეობისა, საიდუმლოთა, ღვთისა და წმიდა ეკკლესიის მცნებათა და ქრისტიანობრივთა მოვალეობათა; დამატებით საყოველდღეო ლოცვებისა და საუფლო ლოცვის განმარტებათა, ფასი ეგზემ. 40 კაპ. ესევე კარდონის კაზმით 50 კაპ.

დ) **„პატარა საქრისტიანო მოძღვრება"**, ქართული ანბანით და საყოველდღეო ლოცვებით წვრილ ყრმათათვის, ფასი უკაზმოთ 15 კაპ.

ესრევე მოკლე ხანში მიიღებიან ქართულათ დაბეჭდილნი: ა) მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველობა; ბ) მოკლე ფილოსოფია; გ) მოკლე მსოფლიო ისტორია; დ) ფრანცუზული ენის გრამმატიკა ოლლენდორფის მეტოდაზე, ქართველთათვეს ფრანციული ენის ადვილად შესასწავლებლად. ე) ფრანციული ენის ლექსიკონი, ფრანციული სიტყვების ქართულად განმარტებით.

(3—2)

---

**სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა**

ს ა კ უ თ რ ი ვ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES'*-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აბჟეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების [illegible]

ჩვენი მაღაზია [illegible] სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

მსურს ვიყიდო

# საბალახე და საბოსტნე ადგილი

წყლის პირას, სივრცით 25 **დესიატინამდინ**, რომლის ფასი არ აღემატებოდეს 3,000 მანეთს და რომელიც ვერსტზე შორს არ იმყოფებოდეს **თბილისიდამ**.

ვისაც აქვს ამ გვარი გასაყიდი მამული, ვთხოვ მაცნობოს ამ ადრესით:

**თბილისს, სასახლის** ქუჩაზე, ხარაროვის მაღაზიაში.

ა. ჯაბადრიშვილი.

(4—1)

---

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—23)

---

შ ე ნ ი შ ნ ვ ა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ხლა 2 მაეთად ღირს.

(100—18)

---

ჩ ა ი! ჩ ა ი! ჩ ა ი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—არწრუნის ქარვასლაში.

(20—19)

Дозволено цензурою. Тифлисъ 15 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი